ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N29

ქ.თბილისი 2 ოქტომბერი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| მიხეილ ამაშუკელი | ლევან არველაძე |
| რამინა ბერაძე | გულია გოცირიძე |
| გიორგი გაბაშვილი | ლევან დავითაშვილი |
| ოთარ გრიგოლია | გიორგი დოხტურიშვილი |
| ბექა დავითულიანი | ირაკლი ზარქუა |
| ლევან დარახველიძე | ფრიდონ ინჯია |
| ნიკოლოზ ვაჩეიშვილი | ერეკლე კუხიანიძე |
| გოჩა თევდორაძე | ნინო ლაცაბიძე |
| ლილე ლიპარტელიანი | ქეთევან მამულაშვილი |
| თინათინ ნიბლოშვილი | შალვა ოგბაიძე |
| ელენე ოზაშვილი | ლევან ჟორჟოლიანი |
| დათო ჟღენტი | დათო რურუა |
| რევაზ სოხაძე | თამარ ტალიაშვილი |
| დავით უთმელიძე | ვახტანგ შაქარიშვილი |
| თარაშ შურღაია | გიორგი ჩაკვეტაძე |
| დავით ჭელიძე | ვლადიმერ ძნელაძე |
| ალექსანდრე ხუჯაძე | ლევან ხაბეიშვილი |
| ილია ჯიშკარიანი | ლევან ჯაფარიძე |
| ქეთევან ჯოხაძე | ჯაბა ჯიშკარიანი |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ისაუბრა ტაქსების ახალ რეგულაციაზე და აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა არის კერძო სექტორის და ქალაქის მთავრობის მომავალი თანამშრომლობის საინტერესო მოდელი. ტაქსის მძღოლებისთვის შეთავაზებული უფასო პარკინგი და ავტომობილის თეთრად შეღებვა იმ კომპანიის მიერ, რომელიც გამოხატავს ავტომობილზე სარეკლამო ფირნიშის განთავსების ინტერესს, არის მნიშვნელოვანი შეღავათი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით ხარჯის გაწევა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ მოხდება. მისი თქმით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ერთი მხრივ, ტაქსის მძღოლებს ნაკლებად დააწვებათ ფინანსური ტვირთი და მეორე მხრივ, რეფორმა მიმართულია ჩვენი თანამოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობისკენ.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ თბილისის მერის ინიციატივა იმდენად მნიშვნელოვანი და კარგია, რომ ნებისმიერი სახის სპეკულაციის მინიმალურ საფუძველსაც კი სპობს, რადგან აღმოფხვრილია ამის ერთადერთი მიზეზი, რომ მძღოლებს ტვირთად დააწვებოდათ ავტომობილების შეღებვასთან დაკავშირებული ხარჯი. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებაა და ტაქსები ამ სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ის, რომ სარეკლამო კომპანია, რომელსაც სურვილი ექნება ტაქსებზე განათავსოს რეკლამა, შეღებავს და ქიმწმენდას ჩაუტარებს ტაქსებს, ნიშნავს იმას, რომ არც ტაქსის მძღოლებს ექნებათ ზედმეტი ფინანსური ხარჯი და არც ბიუჯეტიდან დაიხარჯება სახსრები. აღნიშნა, რომ ტაქსის მძღოლები ასევე, გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან და განაცხადა, რომ ინიციატივა მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ისაუბრებს ტაქსის მძღოლის პოზიციიდან და სხდომაზე წარადგინა ტაქსის რეგისტრაციის დოკუმენტი, რომელსაც „ფარატინა ფურცელი" უწოდა, ხოლო მის საფასურს - „ხარკი", რადგან არავითარი კავშირი არ აქვს ავტომობილის სისუფთავესთან და უსაფრთხო მგზავრობასთან. მისი თქმით, დაინტერესებული კერძო სექტორის მიერ მანქანების თეთრად შეღებვის ინიციატივა გამოწვეულია იმით, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, თუმცა, არც ერთი კომპანია არ დაინტერესდება ამ შეთავაზებით, რადგან არავინ გადაიხდის ტაქსზე განთავსებულ რეკლამაში მილიონობით ლარს. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაპირებული პარკინგის პრობლემის მოგვარების ნაცვლად, თბილისს არ დაემატება არც ერთი საპარკინგე ადგილი და იანვრიდან პარკირება იქნება ზონალური, რაც გამოიწვევს პარკინგით სარგებლობის საფასურის ორ-სამჯერ გაძვირებას.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის გამოსვლაში აქცენტი გაკეთებული იყო მხოლოდ იმაზე, რომ არც ერთი კომპანია არ დაინტერესდება ამ ინიციატივით. მას არაფერი უთქვამს თავად შეთავაზების არსზე, რომელიც არის სწორი და სამართლიანი.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს არ აინტერესებთ ტაქსის მძღოლების მდგომარეობა, ისინი ამა თუ იმ საკითხის გამძაფრებით ცდილობენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, რადგან წინასაარჩევნო „აგონიაში" არიან. თუმცა, მცდელობა აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან ნათელია, რომ ტაქსების რეგულაცია აუცილებელია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის, რასაც მხარს უჭერს მოსახლეობა. ირაკლი ზარქუას თქმით, ის ტაქსის მძღოლები, რომლებიც მიიღებენ შეთავაზებას, უზრუნველყოფილი იქნებიან სხვადასხვა შეღავათებით, კერძოდ: ისარგებლებენ უფასო პარკინგით, უფასოდ გადაეცემათ ტაქსის მაჩვენებელი და გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბოლომდე მიიყვანს იმ პოლიტიკას, რომელიც სჭირდება ქალაქს და თბილისში მოგვარდება დღეს არსებული სატრანსპორტო პრობლემები.

დავით უთმელიძის თქმით, რასაც ლევან ხაბეიშვილმა „ფარატინა ფურცელი" უწოდა, საკუთრების დამადასტურებელი ისეთივე დოკუმენტია, როგორიც ბინის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი, რომელიც ასევე „ფარატინა ფურცელია", თუმცა,

ამავდროულად უძრავი ქონების დამადასტურებელი საბუთია. განაცხადა, რომ ტაქსების რეგისტრაცია აუცილებელია მათი აღრიცხვისთვის, რაც თავისთავად საჭიროა იმისთვის, რომ მივიღოთ მოწესრიგებული თბილისის ტაქსი, რომელიც ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის აზრით, რეფორმა არის „სხვა მხრიდან დაწყებული", რადგან დღეს არსებული უმუშევრობის პირობებში, რეგიონებიდან თბილისისკენ სამუშაოდ მოედინება ადამიანების დიდი ნაკადი. ყველასთვის ცნობილია, რომ თბილისის ტაქსების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია, თუმცა ტაქსის მძღოლობა არის „ერთადერთი ხავსი, რომელსაც ეს ადამიანები ეჭიდებიან". განაცხადა, რომ რეფორმა უნდა დაიწყოს არა ტაქსების აღრიცხვიანობის შემოღებით და ავტომობილების თეთრად გადაღებვით, არამედ რეგიონებში ადამიანების დასაქმების პროგრამის და ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლის დაგეგმვით. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, „ეს არ არის რეფორმა, ეს არის თავის მოტყუება", რადგან ხალხი ამით ვერ იქნება კმაყოფილი.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ მას ყოველდღიური შეხება აქვს ტაქსის მძღოლებთან და განაცხადა, რომ ამ თემაზე სპეკულაცია მიუღებელია. გარდა იმისა, რომ თბილისელების მოთხოვნაა იმგზავრონ კომფორტული და უსაფრთხო ტაქსებით, ეს არის სატრანსორტო და ურბანული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის და ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები მიუღებელია, რადგან დღევანდელი ხელისუფლება აფასებს ტაქსის მძღოლების შრომას, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება ადამიანებს „ყოველდღიურად ხელიდან აცლიდა იმ ხავსს, რომელსაც ისინი ეჭიდებოდნენ". მისი თქმით, სატრანსპორტო პოლიტიკის სწორად წარმართვისთვის საჭიროა ამ მიმართულებით რეფორმის განხორციელება, რომლის შედეგადაც მივიღებთ სასურველ შედეგს, კერძოდ: აღრიცხული და ლიცენზირებული ტაქსები საჭიროა შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად; ტექნიკურად გამართული, სუფთა და მოწესრიგებული ტაქსები უზრუნველყოფს მგზავრების კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას; გაუმჯობესდება ავტომობილების ესთეტური მხარე; შემცირდება გარემოზე მავნე ზემოქმედება; გაუმჯობესდება სატრანსპორტო სისტემა; ტაქსის მძღოლებს უფასოდ გადაეცემათ მანათობელი ნიშნები, ისარგებლებენ უფასო საპარკინგე ადგილებით, გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან და მიეცემათ შესაძლებლობა, ავტომობილზე რეკლამის განთავსების გზით, მიიღონ დამატებითი შემოსავალი, რაც გაუმჯობესებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, ტაქსის მძღოლებს, ავტომობილის რეგისტრაციისთვის ყოველწლიურად მოუწევთ 50-დან 100-ლარამდე თანხის გადახდა და თუ მის მიერ ჩამოთვლილი სიკეთეები და თბილისის უკეთესი ხვალინდელი დღე ამად არ ღირს, მაშინ ოპოზიციასთან საუბარს აზრი არ აქვს.

გიორგი გაბაშვილის თქმით, საკრებულოსგან ადამიანები ელოდებიან გაიგონ, თუ რა და როგორ იქნება, მათ არ აინტერესებთ პოლიტიკური და ცეცხლოვანი გამოსვლები. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება ამ საკითხზე ჯანსაღი და საქმიანი მსჯელობა. გიორგი გაბაშვილმა გაიხსენა მაია ბითაძის სიტყვები, რომ ტაქსების რეგისტრაცია იქნებოდა უფასო და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ამ მიმართულებით ადამიანებთან ურთიერთობა და საქმიანობა დაიწყო ტყუილით. მისთვის გაუგებარია რა საჭიროა ტაქსების აღრიცხვიანობა, რადგან მოსახლეობის ეს კატეგორია არის თვითდასაქმებული და თბილისში ტაქსის პრობლემა არ არის, არც გაჩერების და არც გამოძახების კუთხით. რაც შეეხება იმას, რომ ტაქსის მძღოლებმა მიიღეს გარკვეული შეღავათები, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ არაფერი მიუღიათ შემდგომი შეზღუდვების გარდა. კერძოდ: აიკრძალება მომსახურების მიწოდება მარჯვენა საჭიანი ავტომობილებით და როდესაც ეს მოხდება, საინტერესოა, არის თუ არა ცნობილი რამდენი ადამიანი დარჩება უმუშევარი და შევთავაზებთ თუ არა მათ რაიმე ალტერნატივას. მისთვის გაუგებარია, რატომ იკრძალება მარჯვენა საჭიანი ავტომობილებით მომსახურების მიწოდება, რადგან არ არსებობს სტატისტიკა, რომ მარჯვენა საჭიანი ავტომობილები მეტ საფრთხეს ქმნიან, ვიდრე მარცხენა საჭიანი; ასევე, დადგინდება

ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნები, ასაკი და ვიზუალი. გიორგი გაბაშვილის თქმით, იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის მთავარი პრობლემები გაჭირვება და სიღარიბეა, ეს რეგულაციები შექმნის პრობლემებს და დღეს მიღებული გადაწყვეტილებები მომავალში შესაცვლელი იქნება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ტაქსის რეფორმა ვერ იქნება სატრანსპორტო პოლიტიკისგან განცალკევებული და მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას" სწორედ იმიტომ გამოუცხადა ნდობა, რომ გამართული იყო მათი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ქალაქში სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებას. რაც შეეხება ტაქსის რეგისტრაციისთვის დადგენილ საფასურს, მისი თქმით, გარდა იმისა, რომ არ არსებობს უფასო საქმისწარმოება, რეგისტრაციას გაივლიან მხოლოდ დაინტერესებული პირები. გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის, წლის ბოლოდან, დედაქალაქში შემოვა 90 ავტობუსი, 2021 წლისთვის თბილისის მეტროს დაემატება 12 ახალი შემადგენლობა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ასევე, მიკროავტობუსების ჩანაცვლება, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ცდილობენ „შავ-თეთრად წარმოაჩინონ" ის სასიკეთო ცვლილებები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობისკენ.

გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ ტაქსების რეგულაციასთან დაკავშირებული ინიციატივა მხარდასაჭერია. მისასალმებელია ისიც, რომ დედაქალაქის ხელისუფლება, ავტომობილის ფერთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დანახვისთანავე შეეცადა ტაქსის მძღოლებისთვის საკითხის გაიოლებას და დააწესა გარკვეული შეღავათები. დღემდე საუბარი იყო იმაზე, რომ სარეკლამო ფირნიშების განთავსების გზით, ტაქსის მძღოლებს ექნებოდათ საშუალება მიეღოთ დამატებითი შემოსავალი, თუმცა, თუ სარეკლამო კომპანიები გადაიხდიან ავტომობილის შეღებვისთვის საჭირო თანხას, ამას გააკეთებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ უფასოდ ან შეღავათიან ფასად განათავსონ რეკლამა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაქსის მძღოლები აღარ მიიღებენ დამატებით შემოსავალს. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრებს შესთავაზა, გადახედონ ავტომობილის ფერის რეგულაციის მოთხოვნას, რომელიც რეალურად არაფერს დააკლებს ტაქსების რეფორმის მიზანს.

რამინა ბერაძის თქმით, ტაქსების რეგულაცია ისე ვერ განხორციელდება, თუ არ მოხდება მათი აღრიცხვა. დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს დედაქალაქში დღეს არსებული სოციალური ფონი და სწორედ ამას ემსახურება ტაქსის მძღოლებისთვის გარკვეული შეღავათების დაწესება. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია ქალაქის და მოსახლეობის კეთილდღეობისკენ, უარყოფითად აფასებენ და განაცხადა „ჩვენ გვენდო თბილისის მოსახლეობა" და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არავინ დაზარალდეს და ყველა სოციალური პროექტი განხორციელდეს ხალხის საკეთილდღეოდ.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ისაუბრებს არა როგორც საკრებულოს წევრი, არამედ, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე და აღნიშნა, რომ მიესალმება ყველა წინ გადადგმულ ნაბიჯს, მათ შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში განხორციელებულ საპატრულო რეფორმას თუ სამარშრუტო ტაქსების მიმართულებით განხორციელებულ რეფორმას. მისი თქმით, იმ დროისთვის ამ რეფორმების განხორციელება იყო წინ გადადგმული ნაბიჯი და მისასალმებელია ნებისმიერი სასიკეთო რეფორმა, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში განხორციელდა ის. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ დღეს შემოთავაზებული რეფორმაც წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმებისგან იმით განსხვავდება, რომ საზოგადოებისთვის ინფორმაციაის მიწოდება ხდება არა რეფორმის განხორციელებამდე ერთი დღით ადრე, არამედ თვეებით ადრე და ადამიანებს ეძლევათ საშუალება, ეტაპობრივად მოემზადონ. მისი აზრით, ქალაქის მოსახლეობა კმაყოფილი იქნება იმით, რომ ამ მიმართულებით მალე დამყარდება წესრიგი და ქალაქს ეყოლება ისეთი ტაქსები,

რომლებითაც გადაადგილება იქნება უსაფრთხო და კომფორტული არა მხოლოდ მგზავრებისთვის, არამედ თავად მძღოლებისთვისაც.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ტაქსებთან დაკავშირებით არსებული პრობლემის მოგვარებას არ სჭირდებოდა ლიცენზია, ამისთვის საკმარისი იქნებოდა ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება, რომელიც სავალდებულო იქნება 2019 წლის 1 იანვრიდან. ტაქსების რეგულაცია რომ სატრანსპორტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამაზე ყველა თანხმდება, თუმცა რეგისტრაციის შედეგად არ შეცვლილა დღეს ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა არც უსაფრთხოების და სისუფთავის და არც ავტომობილის ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე დარეგისტრირებულია 12000 ავტომობილი, ერთი ავტომობილის შეღებვისთვის საჭიროა მინიმუმ 1000 ლარი და განაცხადა, რომ არც ერთი სარეკლამო კომპანია არ გადაიხდის არათუ 2 წლის, არამედ თუნდაც 5 წლის ვადით 12000000 ლარს ტაქსზე სარეკლამო ფირნიშის განთავსებისთვის.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ოპოზიციასთან ამ თემაზე არგუმენტირებულ მსჯელობას აზრი არ აქვს, რადგან წინასაარჩევნო პერიოდში, სურთ შექმნან „აპოკალიპტური სურათი“ და ტაქსის მომსახურების მიწოდების მსურველებს, რომელთა რიცხვი დღეისთვის 12 ათასია და სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება, შთააგონონ, რომ ხელისუფლება მათზე არ ზრუნავს. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, არც ერთი ტაქსის მძღოლი არ არის ავტომობილის ტექნიკური დათვალიერების წინააღმდეგი და არ არსებობს არც ერთი ნორმალური სახელმწიფო, სადაც ტაქსის ლიცენზირება არის უფასო. იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი რეგულაცია მოიცავს უამრავ შეღავათს, ის არ მოახდენს უარყოფით გავლენას ტაქსის მძღოლების სოციალურ მდგომარეობაზე. აღნიშნული რეფორმა არის სატრანსპორტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ხოლო სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა.

ერეკლე კუხიანიძის თქმით, არავინ იცის, გამოჩნდებიან თუ არა ისეთი სარეკლამო კომპანიები, რომლებიც მიიღებენ შეთავაზებას და იმაზე კამათს, რაც ჯერ არ მომხდარა, ჯობს კონსტრუქციული და საქმიანი საუბარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

2. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

3. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. (ს/კ: N01.15.04.017.027), 5 კვ.მ. (ს/კ.: N01.15.04.017.028) და 20 კვ.მ. (ს/კ.: N01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ.:

203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

4. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ.N8-ში მდებარე 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე"-სთვის (ს/ნ.: 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

5. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.010.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსტრაქშენისთვის" (ს/ნ.: 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

6. „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

7. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში მდებარე 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ.: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

8. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტლის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N37ᵃ-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ.: 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N392 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

10. „შპს „მკ დეველოპმენტსა" (ს/ნ.: 205049712) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-384-16-21783 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცებულ ქ.თბილისში, სამგორის რაონში, კაიროს ქ.N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ᵃ, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

15. „ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1/ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ზუსტდება, თუ ვინ შეიძლება იქნას მიჩნეული დაზარალებულ პირად და ასევე, ერთჯერადი კომპენსაცია მიეცემათ იმ პირებს, რომლებიც 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს, კანონიერი საფუძვლის გარეშე, ცხოვრობდნენ სტიქიის ზონაში და დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლები.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა წინა მოწვევის საკრებულოსთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილ ინიციატივაზე, რომელიც ეხებოდა აღნიშნულ წესში ცვლილებების განხორციელებას, რომლის საფუძველზეც კომპენსაციას მიიღებდნენ ის პირებიც, რომლებიც სტიქიის ზონაში ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს შენობა-ნაგებობის გარეშე. მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა საკრებულოს არც კი განუხილავს და ამიტომ, ერთ-ერთ მოქალაქეს, თამარ არახამიას, რომლის კანონიერ საკუთრებაშიც არის სტიქიის ზონაში არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, დახმარება დღემდე არ მიუღია. იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად

დაზარალებულ პირთა დახმარების გაცემის წესში ცვლილებების განხორციელება, ითხოვა საკითხის გადადება სამომავლო განხილვისთვის და ისეთი სახის ცვლილების განხორციელება, რომელიც მოიცავს ამ კონკრეტული მოქალაქის დახმარებასაც.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხის სამომავლო განხილვისთვის გადადების მოთხოვნა მიუღებელია, რადგან 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარების გაცემის წესმა მაქსიმალურად მოიცვა თითოეული ადამიანი, დარჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე პირი, რომლებზეც, არსებული წესის მიხედვით, ვერ ხერხდებოდა დახმარების გაცემა, თუმცა ეს მოხერხდება დღეს წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე. მისი თქმით, წლების განმავლობაში წესი იმ დონეზე დაიხვეწა, რომ დახმარება გაეწია ფაქტობრივად ყველა დაზარალებულ პირს, დარჩენილია მხოლოდ ხუთი ოჯახი, რომელთა საკითხიც არის ექსპერტიზის ბიუროში და მათ საკუთრებაში არსებული ქონების მონაცემების დაზუსტებისთანავე, გაიცემა შესაბამისი დახმარება. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული პირების დახმარებისთვის გამოყოფილმა თანხამ 40 მილიონს გადააჭარბა და ამ კუთხით მიმართული რესურსის რაოდენობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თამარ არახამიასთვის დახმარების გაცემაზე უკან არავინ დაიხევდა, რომ ყოფილიყო ამის სამართლებრივი საფუძველი.

ირაკლი ზარქუას თქმით, წარმოდგენილი ცვლილებებით ნათელია, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულია თითქმის თითოეული დაზარალებულის დახმარების საკითხი, მათ შორის, იმ ადამიანებსაც, რომლებსაც საკუთრებაში არსებული ქონება რეგისტრირებული არ ჰქონდათ და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ინიციატივა მისასალმებელია.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილმა ცვლილებამ მოიცვა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ადამიანების თითქმის მთლიანი სპექტრი, რომლებსაც არათუ საკუთრებაში, არამედ სარგებლობის უფლებით ჰქონდათ კონკრეტული უძრავი ქონება, რომელიც დაუზიანდათ სტიქიის შედეგად. შემოთავაზებული რეგულაცია ემსახურება სწორედ იმას, რომ ეს ადამიანები არ დარჩენილიყვნენ ამ წესის მიღმა, რაც, მისი თქმით, პოზიტიური და ერთხმად მხარდასაჭერია.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ არავის უთქვამს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულომ ცუდად იმუშავა. დღემდე არსებობენ ადამიანები, რომლებიც სტიქიის ზონაში ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს შენობა-ნაგებობის გარეშე, მაგრამ დახმარება ჯერ კიდევ არ მიუღიათ და სწორედ ერთ-ერთი ასეთია თამარ არახამია. გასაგებია, რომ არსებული წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სტიქიის ზონაში ფლობენ მხოლოდ მიწის ნაკვეთებს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გარეშე, თუმცა, ასევე შენობა-ნაგებობის გარეშე არსებულ მიწის ნაკვეთს ფლობდა ნაზღაიძეც, რომელიც საკრებულომ, წარმოდგენილი წესის გვერდის ავლით დააკმაყოფილა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარების გაცემის წესი არ ითვალისწინებს იმ პირების დახმარებას, რომლებსაც სტიქიის ზონაში გააჩნდათ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გარეშე, ხოლო რაც შეეხება ნაზღაიძის საკითხს, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მიწის ნაკვეთზე გაცემული იყო სამშენებლო პირობები და გადაწყვეტილება მიღებული იქნა იქიდან გამომდინარე, რომ შესრულებულიყო გარკვეული ვალდებულებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვის მიზანია აღნიშნულ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის უზრუნველყოფა, რის შემდეგაც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი, 2 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტს გადასცემს არანაკლებ 7000 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, მათ მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალის მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ, (ს/კ: N01.15.04.017.027), 5 კვ.მ. (ს/კ.: N01.15.04.017.028) და 20 კვ.მ. (ს/კ.: N01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ.: 203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ.N8-ში მდებარე 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე“-სთვის (ს/ნ.: 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.010.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ.: 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება ბანკომატებისა და ბანკის სერვის-ცენტრის განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში მდებარე 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ.: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება პანდუსის ფუნქციონირების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტლის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N37ᵃ-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ.: 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N392 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ფედერაცია ითხოვს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების სარგებლობის ვადის გაზრდას 10 წლამდე, რადგან აპირებს განახორციელოს შენობის რეაბილიტაცია, 515000 ათასი ლარის ინვესტიციის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „შპს „მკ დეველოპმენტსა“ (ს/ნ.: 205049712) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-384-16-21783 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ კომპანიამ 164 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეიძინა აუქციონის ფორმით, რომლის ერთ-ერთ პირობად განსაზღვრული იყო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა. იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული ხეები არის დაზიანებული და ხმობადი, კომპანია ითხოვს აღნიშნული ვალდებულების გაუქმებას, თუმცა სანაცვლოდ, განახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებული საკომპენსაციო პაკეტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“, 2008 წელს, პირდაპირი განკარგვის წესით, შეიძინა ოთხი ერთეული მიწის ნაკვეთი და საპრივატიზებო თანხის გადახდასთან ერთად, საინვესტიციო ვალდებულებად განესაზღვრა მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის აშენება 14 თვის ვადაში, ორ ერთეულ მიწის ნაკვეთზე, რომლებიც მდებარეობს ლილოს და ავჭალის ტერიტორიაზე. თუმცა, კომპანიის მხრიდან, დღემდე ვერ სრულდება აღნიშნული ვალდებულებები.

წარმოდგენილი პროექტით, კომპანია მუნიციპალიტეტს საკუთრებაში დაუბრუნებს ოთხივე მიწის ნაკვეთს, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რის სანაცვლოდაც გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან და ასევე, გაუქმდება მრავალფუნქციური სპორტული ობიექტების განთავსების საინვესტიციო ვალდებულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცებულ ქ.თბილისში, სამგორის რაონში, კაიროს ქ.N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია უკვე დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით გათვალისწინებული ტექსტილის ფაბრიკის კონფიგურაციის ცვლილება, კერძოდ იზრდება კ-1 და კ-2 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ᵃ, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ უკვე დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით საპროექტო არეალი, რომლის საერთო ფართობია 239295 კვ.მ., დაყოფილია 5 სექტორად, ხოლო კორექტირებით წარმოდგენილია ტერიტორიის დაყოფა 11 სექტორად, არსებული მოცულობის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი

საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ დაგეგმილია შვეულმფრენების ცენტრის მშენებლობა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, შემოთავაზებულია ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება ზემოთ აღნიშნული მშენებლობისთვის დასაშვები ფუნქციური სტატუსით, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 2-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1/ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1. წარმოდგენილი წინადადებით შემოთავაზებულია ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტის რეკონსტრუქცია და მოწესრიგება. რაც შეეხება თვისობრივი ცვლილებების განხორციელებას და ახალი ობიექტების განთავსებას, პროექტით გათვალისწინებული არ არის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება და 14 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი